# იაპონური ანიმეს ფესტივალი

# アニメ祭!













PX 4904/1 116/8

## კინოთეატრი "ამირანი" (კოსტავას ქ.36)

| | 12:00 | 14:15 | 16:15 | 18:30 |
|---|---|---|---|---|
| 31 ოქტომბერი | | | | სიტყვების ბაღი |
| 1 ნოემბერი | ფერადი | ჭკვიანური თამაში | ფერადი | |
| 2 ნოემბერი | ჭკვიანური თამაში | ფერადი | ჭკვიანური თამაში | |

## შ. რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი (აღმაშენებლის გამზირი 40)

| | 12:00 | 14:00 | 16:00 |
|---|---|---|---|
| 7 ნოემბერი | ივის დრო | ღრუბლებს მიღმა | სიტყვების ბაღი |
| 8 ნოემბერი | ღრუბლებს მიღმა | ივის დრო | სიტყვების ბაღი |

ფილმი წარმოდგენილია იაპონურ ენაზე ქართული სუბტიტრებით

დასწრება თავისუფალია

იაპონიის საელჩო

JAPANFOUNDATION
იაპონიის ფონდი

ამირანი
კინოთეატრი "ამირანი"

რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი



## სიტყვების ბაღი
言の葉の庭

ტაკაო სკოლის მოსწავლე ბიჭია, რომელიც ოცნებობს მომავალში ფეხსაცმლის წარმატებული ოსტატი გახდეს.
თუ წვიმიანი დილა გათენდა, ტაკაო სკოლის პირველ გაკვეთილს ჩვეულად აცდენს რათა ლამაზ ბაღში ხალხისგან განმარტოვდესდა მჯდომარემ ისიამოვნოს წვმის სურნელით.
ერთ-ერთ წვიმიან დილას ბაღში მისული ტაკაო გაიცნობს იდუმალებით სავსე ასაკით უფროსს გოგონას - იუკინოს, რომელიც მისგან განსხვავებით დილიდანვე ლუდს და შოკოლადს მიირთმევს.
იუკინო და ტაკაო გაურკვეველ ურთიერთობაში გაეხვევიან, რადგან ისინი მხოლოდ წვიმიან დღეებში შეხვედრაზე შეთანხმდებიან.
წვიმის სეზონი ნელ-ნელა დასასრულს უახლოვდება, რაც მოვლენებს სრულიად სხვაგვარად წარმართავს.

რეჟისორი: მაკოტო შინკაი; გამოშვების წელი: 2013; 46 წუთი



## ივის დრო
イヴの時間

ახლო მომავალში. ანდროიდი ტიპის რობოტები, რომლებიც თითქმის არ განსხვავდებიან ვიზუალურადჩვეულებრივი ადამიანებისგან ყოველი ოჯახის მნიშვნელოვან საყოფაცხოვრებო ნივთად იქცა.
ქუჩაში გამვლელები მათ მხოლოდ თავზე არსებული ციფრული რგოლით ანსხვავებენ.
ანდროიდებს, ადამიანების მსგავსად გააჩნიათ თავიანთი კანონები, რომელიც მკაცრად რეგულირდება ეთიკის კომიტეტის მიერ.
ერთ დღეს სკოლის მოსწავლეებმა რიკუომ და მისმა მეგობარმა მასაკი-მ აღმოაჩინეს უცნაური „ივის კაფე“, რომელიც არღვევდა ეთიკის კომიტეტის დაწესებულ დოგმას და საშუალებას აძლევდა ანდროიდებს და ადამიანებს თანაბარი უფლებებით ესარგებლათ.
რიკუო და მასაკი კაფეში ხშირი სტუმრობით შეეცდებიან იპოვნონ ანდროიდების დამოუკიდებელი ქცევის ახსნა.

რეჟისორი: იასუჰირო იოშიურა; გამოშვების წელი: 2010; 106 წუთი



## ღრუბლების მიღმა, შეპირებული ადგილი
雲のむこう, 約束の場所

ჰიროკი, ტაკუია და საიური ჰოკკაიდოსთან ახლოს მყოფ აომორიში ცხოვრობენ.სამივე მათგანი ერთ სკოლაში სწავლობს..
ერთ დღესაც ჰიროკი და ტაკუია გიგანტურ ანძას შეამჩნევენ, რომელიც ცისკენ იყო აღმართული. გაოცებულნი ერთმანეთს შეპირდებიან მომავალში თვითმფრინავის აშენებას რათა ამოხსნან თუ რა იმალება ამ ანძის უმაღლეს წერტილზე.
სამწუხაროდ ეს ოცნება განუხორციელებელი დარჩებათ საიურის უეცარი გაუჩინარების გამო.
სამი წლის შემდგომ, ჰიროკი გაიგებს, რომ საიური ამ წლების განმავლობაში კომაში იყო ჩავარდნილი, რომლის მიზეზი სწორად ამ იუნიონის იდუმალებით აღსავსე ანძას უკავშირდება.

რეჟისორი: მაკოტო შინკაი; გამოშვების წელი: 2004; 91 წუთი





## ჭკვიანური თამაში

ქალაქ ოსაკაში მცხოვრები რობინ ნიში, ძალას არ იშურებს, რომ წარმატებული მანგის მხატვარი გახდეს.

ერთ დღესაც რობინი იაკიტორის რესტორანში შემთხვევით შეხვდება მიონს, რომელიც ადრეული ასაკიდანვე უყვარდა.
რესტორნის მეპატრონე მიონის მამაა. მას საკმაოდ დიდი ვალი აქვს იაკუძებთან რის გამოც ამ დღესაც რესტორანში არეულობის ტალღა დაიწყება.
ნიში ეცდება, რომ სწრაფი ავტომობილით ოჯახს იაკუძებისგან გაქცევაში დაეხმაროს, რის შედეგადაც ის ხიდიდან გადავარდება.
ოკეანეში ჩავარდნილ მანქანას კი უზარმაზარი ვეშაპი გადაყლაპავს.

რეჟისორი: მასააკი იუასა ; გამოშვების წელი: 2004; 104 წუთი



## ფერადი
カラフル

ფილმი დაფუძვნებულია ეტო მორის ნოველის „ფერადი“-ს მიხედვით.
გილოცავთ! თქვენ იღბლიანი გათამაშების მოგებული ბრძანდებით!

სიცოცხლის შემდეგ ორი სამყარო არსებობს - სამოთხე და ჯოჯოხეთი.

ანიმეს მთავარი პერსონაჟი არცერთ სამყაროს მიეკუთვნება, გარდაცვალების შემდეგ ის უბრალო მოხეტიალე სულად იქცა რომელიც შემთხვევით დაეუფლა თვითმკვლელობისგან დაღუპულ სკოლის მოსწავლის, მაკოტო კობაიაშის სხეულს და მიეცა შანსი, რომ კიდევ ერთხელ ეცხოვრა სამყაროში.

რეჟისორი: კეიჩი ჰარა ; გამოშვების წელი: 2010; 127 წუთი